ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbilisikrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრის,
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

თედო ისაკაძის

ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

(01.11.2018-01.11.2019)

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის №26-113 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენისა და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების გამართვის წესის“ (დანართი 2) შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია:

- 2017 წლის 14 ნოემბრიდან მეექვსე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- 2017 წლის 8 დეკემბრიდან დღემდე საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი;
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 და ბიუროს 17 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 98 დადგენილება და 434 განკარგულება.

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო":**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 21 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 24 საკითხი.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია:**

ჩატარდა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის 21 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 232 საკითხი.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, განხილული იქნა 43 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის სხდომებზე განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. უფრო კონკრეტულად:

2018 წლის 20 ნოემბრის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0318319154-03, 15.11.2018).**

2018 წლის 24 დეკემბრის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0318344134-03, 10.12.2018).**

2019 წლის 25 იანვრის სხდომა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03190226-03; 22.01.2019):**

  დადგენილების პროექტის საფუძველზე, დედაქალაქის ტერიტორიაზე მოძრავ M2 კატეგორიის ავტობუსებს (მიკროავტობუსებს) დამატებით განესაზღვრათ ის ქუჩები, სადაც მგზავრთა აყვანა/ჩამოსმის მიზნით მხოლოდ ავტობუსების გაჩერებებზე შეძლებენ გაჩერებას. დღეის მდგომარეობით, ჯამში მოცემული ვალდებულება ვრცელდება თბილისის 26 ქუჩაზე. აღნიშნულმა რეგულაციამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას და გზებზე მიკროავტობუსების მოძრაობის მოწესრიგებას.

  ამასთან, დადგენილების საფუძველზე, დაემატა ერთი ახალი მარშრუტი (№69, რომელიც მ/ს „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით მოძრაობს) და დაკორექტირდა არსებული მარშრუტები.

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03190243-03; 24.01.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319024170-03; 24.01.2019):**

  დადგენილების საფუძველზე, რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების სატრანსპორტო მომსახურების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, რუსთავიდან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მ/ს „ისნამდე“ მოძრაობის განხორციელების მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტი იქნა დამტკიცებული.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03190083-03; 08.01.2019).**

2019 წლის 12 თებერვლის სხდომა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319042186-03; 11.02.19);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-0319042186-03; 11.02.19**):

  ტაქსების რეფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 1 ოქტომბრიდან რეფორმის მეორე ეტაპი ამოქმედდა, რაც გულისხმობს, A და B კატეგორიის ტაქსების წელიწადში 2-ჯერ ტექ.ინსპექტირებას და აუცილებლობას, რომ ავტომობილი იყოს 5-კარიანი. A კატეგორიაში იგულისხმება ავტომობილი, რომელიც არის თეთრი ფერის, მხოლოდ მარცხენასაჭიანი. A კატეგორიის ტაქსს აქვს გამოკვეთილი უპირატესობები: უფლება აქვს მგზავრი აიყვანოს ქუჩაში, ატარებს მანათობელ ტაქსის ნიშანს „TAXI თბილისი“ (რომელსაც მერია უფასოდ გასცემს), შეუძლია ისარგებლოს უფასო პარკირების ადგილებით (გამოყოფილია უკვე 400-მდე ადგილი), შეუძლია ძარაზე განათავსოს რეკლამა და ამ ფორმით მიიღოს დამატებითი შემოსავალი. ხოლო B კატეგორიაში იგულისხმება ავტომობილი, რომელიც არ არის თეთრი ფერის. მას 2021 წლის 1 იანვრამდე არ მოეთხოვება იყოს მხოლოდ მარცხენასაჭიანი. B კატეგორიის ტაქსი მუშაობს მხოლოდ გამოძახებით. B კატეგორია ვერ შეძლებს მგზავრის ქუჩიდან აყვანას, ტაქსის აღმნიშვნელი ნიშნის ტარებასა და ვერ ისარგებლებს ტაქსებისთვის გამოყოფილი უფასო მუნიციპალური პარკინგით.

  24 ოქტომბრის მონაცემებით გაცემულია ტაქსით გადაყვანის 17 817 აქტიური ნებართვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-03190436-03; 12.02.19**);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03190436-03;12.02.19).**

2019 წლის 1 მარტის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319058156-03; 27.02.2019).**

2019 წლის 11 მარტის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319052158-03; 21.02.19):**

  მოცემული დადგენილების პროექტი ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის განსაზღვრას დროის მონაკვეთისა და ზონის მიხედვით.

  საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მისი განხილვა მოხდა ექსპერტებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით. კომისიის გაფართოებულ სხდომაზე დაფიქსირდა არაერთი მნიშვნელოვანი პოზიცია, რომელთა ნაწილიც, მოგვიანებით საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში იქნა ასახული.

  2019 წლის 12 მარტის სხდომა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031906554-03; 06.03.2019).**

2019 წლის 15 მარტის სხდომა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031906554-03; 06.03.2019):

გენერალური გეგმა უზრუნველყოფს ქალაქის სწორ, გრძელვადიან, სისტემურ განვითარებას, მასში ურბანული განაშენიანების და განვითარებისათვის ახლებური მიდგომებია ასახული.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისტორიულ-კულტურული ნაწილის განვითარებასა და ლანდშაფტურ მნიშვნელობაზე. გენერალურ გეგმაში ასახულია ტერიტორიების ბალანსირებული და რეკონსტრუქციაზე ორიენტირებული განვითარება.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას ერთვის სამოქმედო გეგმა (დანართი “ 5, ტრანსპორტი), რომლის მიხედვითაც, გაწერილია ის კონკრეტული ვადები, რა პერიოდშიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები ქალაქში ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. კერძოდ: 2019-2023 წლებში უნდა განხორციელდეს - ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავება, ტრანსპორტის მოდელის შემუშავება, სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის დაგეგმვა და სატრანზიტო დერეფნების მოწყობა.

2019 წლის 29 მარტის სხდომა:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას სამგზავრო ტარიფებისა და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03190737-03; 14.03.2019):

დადგენილების საფუძველზე, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ: თბილისში რეგისტრირებულ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე უსინათლო პირებს და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფ

დამხმარე ნებისმიერ პირს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე უსინათლო პირთა გამცილებლებს, ასევე თბილისში რეგისტრირებულ 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებს. ამასთან, 0,2 ლარიანი ტარიფით მგზავრობის უფლება მიენიჭათ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის (ფილიალის), თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) და თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის 86 თანამშრომელს.

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03190737-03; 14.03.2019);**

- ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031908716-03; 28.03.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) (მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031908716-03; 28.03.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031908716-03; 28.03.2019).**

2019 წლის 19 აპრილის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031905990-03; 28.02.2019).**

2019 წლის 24 მაისის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N 34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031914291-03; 22.05.2019):**

წარმოდგენილი პროექტით გაიზარდა თბილისის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა და განისაზღვრა 1 075 101, 8 ათასი ლარით. ბიუჯეტს დაემატა ახალი ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 8 389,2 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა მეტროს ვაგონების მოდერნიზებას მოხმარდება.

დღევანდელი მონაცემებით მეტროპოლიტენში აქტიურად მიმდინარეობს მეტროს სადგურებისა და ვაგონების რეაბილიტაციის პროცესი. ამ ეტაპზე კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა რეზერვში არსებულ 15 შუალედურ ვაგონს, რომელიც რეაბილიტაციას ექვემდებარებოდა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აზიის განვითარების ბანკის დახმარებით მეტროში მიმდინარეობს ელექტროსადენებისა და გამნიავებელი სისტემის სრული რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს 450 კილომეტრიანი ძალოვანი კაბელის სრულ შეცვლას, 28 საგვირაბე გამნიავებლის და 32 ახალი, ევროპული სტანდარტის ვენტილატორის დამონტაჟებას. სწორედ ამის გამო დღეს მეტროპილიტენი

მგზავრებს ერთი საათით ნაკლები დროით ემსახურება, სამუშაოები 2020 წლის ივლისში დასრულდება.

- „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-03191439-03; 23.06.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031912040-03; 10.05.2019):**

N50, N55, N71 მარშრუტებზე შეიცვალა მოძრაობის სქემა და მოძრავი შემადგენლობები ევროპის მოედნიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე ნაცვლად რიყის, მარცხენა სანაპიროს და ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდისა, მოძრაობენ კოტე აფხაზის, თავისუფლების მოედნისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩის გავლით. აღნიშნული მარშრუტები კოტე აფხაზის ქუჩაზე მოძრაობას ახორციელებენ „MAN“-ის მარკის ახალი ავტობუსებით.

N85 მარშრუტზე განხორციელდა საწყისი პუნქტის ადგილმონაცვლეობა და ილია ჭავჭავაძის გამზირი N41-ის მიმდებარე ტერიტორიის ნაცვლად, საწყის პუნქტად განისაზღვრა მერაბ კოსტავას ქ. N68-ის მიმდებარედ.

ავტობუსებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს ავტოპარკის სწრაფი ტემპებით 2019 წელს თბილისის მერიის მიერ შესყიდულია: 90 ერთეული „მანის“ მარკის 10-მეტრიანი და 220 ერთეული „ისუზუს“ მარკის ავტობუსი. მათგან 50 ერთეული „მანისა“ და 60 ერთეული „ისუზუს“ მარკის ავტობუსი უკვე შპს „სატრანსპორტო კომპანიის“ ბალანსზეა. დანარჩენ 40 ერთეულ „მანის“ ავტობუსს თბილისი წლის ბოლოს მიიღებს, ხოლო „ისუზუს“ ავტობუსების მოწოდება დეკემბერის თვეში დასრულდება.

ამას გარდა, „იბიარდის“ მიერ გამოცხადებულია ტენდერი თბილისისთვის 12-მეტრიანი CNG (გაზის) ძრავზე მომუშავე ავტობუსების შესყიდვაზე. მიმდინარეობს მუშაობა დამატებით 90 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსების შესაძენად.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03191016-03; 11.04.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031910918-03; 19.04.2019):**

წარმოდგენილი დადგენილებით, სხვა ცვლილებებთან ერთად, 2021 წლის პირველ იანვრამდე გადავადდა „B“ კატეგორიის ნებართვის გაცემის აკრძალვა მარცხენა საჭიან ავტომანქანებზე.

- ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031914063-03; 20.05.2019);**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0319052158-03; 21.02.2019):**

წარმოდგენილი დადგენილების მიხედვით, სხვა ცვლილებებთან ერთად, განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური ზონების მიხედვით: ა) პირველ („A“) ზონაში 1 საათი - 1 ლარით; ბ) მე-2 („B“) ზონაში 1 საათი - 2 ლარით; გ) მე-3 („C“) ზონაში 1 საათი - 3 ლარით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზონალურ-საათობრივი პარკირების შემოღების მიზანი პარკირების სისტემის სრულყოფაა, პარკირების ადგილებზე ვიზიტორთათვის პარკინგის გამარტივება, ქუჩის მცხოვრებთა საპარკინგე ადგილებზე წვდომის გაუმჯობესება, ზონებში არსებულ ქუჩებზე სატრანსპორტო ნაკადების შემცირება.

ზონალურ-საათობრივი პარკირება ამჟამად ვრცელდება კოტე აფხაზის ქუჩაზე, აბანოს ქუჩაზე, გრიშაშვილის ქუჩაზე და ორბელიანის მოედანზე.

2019 წლის 25 ივნისის სხდომა:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031915842-03; 07.06.2019):**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით, უფასოდ მგზავრობის უფლება მიენიჭათ ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლებს (საუბარია 50 თანამშრომელზე), რომელთა სამუშაო პროცესი დაკავშირებულია მუდმივ გადაადგილებასთან, ცენტრს კი საკუთარი ავტომობილი არ გააჩნია.

- „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031915842-03; 07.06.2019);**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031916225-03; 11.06.2019);**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^{2} მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 135-ე–135^{4} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ

ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ სამსახურად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ნოემბრის №15-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031916877-03; 17.06.2019);**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-031916877-03; 17.06.2019);**

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2მუხლით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით და 135^4 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის– ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031916877-03; 17.06.2019);**

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031916877-03; 17.06.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის

მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**12-0319175155-03; 24.06.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031916457-03; 13.06.2019).**

2019 წლის 23 ივლისის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031920332-03; 22.07.2019);**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების (№C37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919875-03, 17.07.2019);**

- „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი“-სთვის (ს/კ: 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019);**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და

შპს „ქართლიენერჯი“-ს (ს/ნ: 404561568) შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის შესახებ N0-455-1-23227 ხელშეკრულების ცვლილების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-031919381-03; 12.07.2019);**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918454-03, 03.07.2019);**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031918565-03, 04.07.2019).**

2019 წლის 16 აგვისტოს სხდომა:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03192264-03; 14.08.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03192264-03; 14.08.2019);**

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031922737-03; 15.08.2019);**

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-031922780-03; 15.08.2019).**

2019 წლის 13 სექტემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-0319247124-03; 04.09.2019).**

2019 წლის 18 ოქტომბრის სხდომა:

- თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 თვის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

საანგარიშო პერიოდში შედგა სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრები, მათ შორის: შეხვედრა თბილისში, კოტე აფხაზისა და მის მიმდებარე ქუჩებზე პარკირების რეგულირების საკითხზე, შეხვედრა რუსთავის მერიაში, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების (M3 კატეგორია) ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე კონკურსის პირობების შემუშავების შესახებ, შეხვედრა რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი ავტობუსების (M3 კატეგორია) ტექნიკური მახასიათებლების შესახებ და სხვა.

ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ:

დაიგეგმა და შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან). თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება. სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება.

ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.